ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #202/05

ქ.თბილისი **იანვარი 2023 წ.**

ერთის მხრივ, **სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ **მარიამ მიქიაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს გარდენლენდი** (შემდგომში „მიმწოდებელი“). ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესყიდვის მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

1. CPV-15800000- თანხით 4649 (ოთხი ათას ექვსას ორმოცდაცხრა ლარი) ლარი;

2. CPV-15200000- თანხით 1150 (ათას ასორმოცდაათი ლარი) ლარი;

3. CPV-15300000- თანხით 1650 (ათას ექვსას ორმოცდაათი ლარი) ლარი,

შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **7449,00 (შვიდი ათას ოთხას ორმოცდაცხრა ლარი)** ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს დირექტორის მ/შ **მარიამ მიქიაშვილი** ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, მოწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მომწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების თარიღია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

4.3 საქონელი მიწოდების ადგილი - სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა სკოლა პანსიონი).

4.4.საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სკოლის დირექტორი ან დირექტორის დროებით მ/შემსრულებელი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედდებული ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა). წინააღმდეგ

შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის დადგენილ ვადაში მოწოდება;

7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით; 7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს სათანადო შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

13.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

13.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

რეკვიზიტები

შემსყიდველი **სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა** ს/კ 206091398 მის: გუთნის ქ.N6 ს/ს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი ა/ა GE83LB0121134143229000 დირექტორის მ/შ **მარიამ მიქიაშვილი**	**მიმწოდებელი** **შპს გარდენლენდი** , ს/კ400349486 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE98BG0000000541370499 GEL დირექტორი

დანართი N1 ხელშეკრულება #202/05 საგნის აღწერა

საქონლის დასახელება	მახასიათებლები	ზომისერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლი სფასი
პური ლავაში 15800000	თეთრი, პირველი ხარისხის	კგ	**30.00**	7	210
მაკარონი 15800000	– თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყ ოს ხორბლის უმაღლესი ხა რი სხის ფქვილისაგან დამზადებული, არასამარხვო შემადგენლობის, ზედაპირი გლუვი, არ ჰქონდეს არავითარი ჩანართი და წერტილი. მაკარონის ნაწარმის ტენიანობა 13%.მდგრადი, ხარშვისას ადვილად არ კარგავდეს ფორმას. ფერი – ერთგვაროვანი კრემისფერი. ფორმა შემსყიდველთან შეთანხმებით; სურსათს არ უნდა დაჰკრავდეს მძაღე, მჟავე, ობის, ლპობის სუნი ან გემო.ჰერმეტულად შეფუთულ პროდუტში არ იყოს წყლის წვეთები. –არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.–შეფუთული და სათანადოდ ეტიკეტირებული (ეტიკეტირება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N441 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე მოთხოვნებს);–მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ვარგისიანი. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები გმო-ს შემცველობაზე.	კგ	**113.00**	3	339
ვერმიშელი 15800000		კგ	**50.00**	3.5	175
შაქარი 15800000	–თეთრი ფერის, მშრალი, კრისტალური, ფხვიერი, სუფთა. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	კგ	**200.00**	3	600
თაფლი 15800000	უნდა იყოს ნატურალური!!! დაფასოებული უნდა იყოს 1, 2 ან 3 ლიტრიანი ქილებით	კგ	**23.00**	25	575
ჩაი ხილი 15800000	– მინარევების, უცხო სუნის, ობისა და ნესტის გარეშე. ჰერმეტულად შეფუთული პაკეტებში. ადგილობრივი წარმოების.–სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	კგ	**7.00**	20	140
მარილი 15800000	–კრისტალური, წმინდად დაფქვილი, იოდიზირებული, მშრალი, უცხო გემოს გარეშე. ფერი დამახასიათებელი.–სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	კგ	**34.00**	2	68
კაკაო 15800000	"უმაღლესი ხარისხის, მშრალი, ფხვიერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშისთვის. დაფასოებული უნდა იყოს ქარხნულად წყალგაუმტარ პოლიეთილენის არაუმეტეს 5 კგ.-იან პარკებში. ეტიკეტზემითითებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა."	კგ	**6.00**	25	150
საწებელი 15800000	"შეფუთული ქარხნულად 0.5-15 კგ. ვარგისიანობის ვადის მითითებით. არ უნდა ჰქონდეს ობის გემო და სუნი; გემო მახასიათებელი გარკვეული ნიმუშისთვის."	კგ	**30.00**	6	180
საფუარი 15800000	–კულინარიული დანიშნულების, პურის ცხობისთვის გამოსაყენებელი, ფხვიერ მდგომარეობაში. სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს	კგ	**4.00**	14	56

	საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.				
სანელებელი (ჩამინათვალი დასახელებები უცხოსუნელი ქინძი დძირა თყ რა) 15800000	"უნდა იყოს დაფქული, არ უნდა იყოს ნესტიანი, ფერი, გემო და სუნი უნდა ქონდეს დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშითვის."	კგ	**9.00**	9	81
სანელებელი(პიტნა)	"უნდა იყოს დაფქული, არ უნდა იყოს ნესტიანი, ფერი, გემო და სუნი უნდა ქონდეს დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშითვის."	კგ	**4.00**	15	60
ყავა 15800000	"უმაღლესი ხარისხის, მშრალი, ფხვიერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული	კგ	**7.00**	36	252
მწვანილი (ქინძი, ნიახური,ოხრა ხუშიკამა) 15800000	–თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მშრალი, მწვანე შეფერილობის, საღი,სუფთა, ფესვების და ბაქტერიოლოგიური დაზიანებების გარეშე. კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სურნელებით. დაფასოებული მუყაოს ყუთებში. მიწის შემცველობის გარეშე. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე.	კგ	**115.00**	8	920
საფანელი 15800000	უნდა იყოს საღი, მშრალი, არ უნდა იყოს ნესტიანი	კგ	**41.00**	6	246
ნახმი(ბუბლიკი) 15800000	უნდა იყოს თითო 50 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	კგ	**11.00**	7	77
ნამცხვარი შვრიის 15800000	უნდა იყოს თითო 40 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	კგ	**33.00**	10	330
თაფლაკვერა 15800000	უნდა იყოს თითო 50 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	კგ	**13.00**	7	91
ორცხობილა თეთრი 15800000	–ახალი, ქარხნულის წარმოების, საბავშვო, უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული, კრემის, ჯემისა და კონცენტრატების გარეშე. ნატურალურის იდენტური არომატიზატორით. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ და აკრძალულ საკვებდანამატებს. ერთი ცალის წონა 25-35 გრ. მექანიკური დაზიანების გარეშე. სათანადოდ შეფუთული. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	კგ	**11.00**	9	99
					4649.00
ზეთი CPV 15411100	(მცენარეული, დაფასოებული ქარხნულად 1 ლ. პოლიეთილენის ბოთლებში ვარგიასიანობის ვადის მითითებით)	**კგ**	**230.00**	**5**	**1150**
გაყინული თევზი სკუმბრია CPV1522100	გაყინული თევზი - მიწოდებული საქონელი იქნება უმაღლესი ხარისხის: გაყინული მშრალი წესით, არასასიამოვნო სუნის გარეშე . მიწოდებულ პარტიას თან ახლავს შესაბამისობისა და ხარისხის სერთიფიკატი. მიკრობიოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური და სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლებით შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.	**კგ**	**150.00**	11	**1650**

0					
					2800.00
					7449.00

სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ **მარიამ მიქიაშვილი**

შპს გარდენლენდი
დირექტორი